საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლენინური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 48 (6424) 20 აპრილი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

გაზაფხულის რიგმი: მიმდინარეობს ხვნა-თესვა

გაზაფხული დღითიდღე ძალაში შედის, ახლა, ამ კრიზისულ მომენტში გადამწყვეტი სიტყვა სოფლის მეურნეობის მშრომელებმა უნდა თქვან, მხარი მხარს უნდა მივცეთ, მიწა დროზე დავამუშაოთ, ბალ-ვენახებს მივხედოთ, მტერი არ გავახაროთ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მაღალი შრომითი შემართებით ვუპასუხოთ.

ამინდები არც თუ ისე გვანებივრებს, ხშირად წვიმს, რაც აფერხებს მინდვრად მექანიზმების მუშაობას, მაგრამ მას, ვინც ადრიდანვე დაიჭირა საგაზაფხულო ხვნა-თესვის თადარიგი, დასახნავი ბევრი აღარ დარჩა.

ტვიშელმა მექანიზატორებმა 15 მარტს რაიონში პირველებმა დაიწყეს ხვნა. სულ აქ, ამ გაზაფხულზე 62 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი უნდა დაიხნას და დაითესოს, შემდეგ კი დახნულ-დათესილ მინდვრებს მოიჯარეები დაეპატრონებიან. სულ 280 ოჯახია საიჯარო შრომაში ჩაბმული. ხელსაყრელ ამინდებს ხელიდან არ უშვებენ და ამ ძნელ და საპასუხისმგებლო საქმეს ჩვეული სიბეჯითით ეკიდებიან გამოცდილი ტრაქტორისტები ჯემალ გაბიძაშვილი და გებენ ჩაკვეტაძე, სწორედ მათი ერთგული და მონდომებული შრომის შედეგია, რომ 50 ჰექტარი უკვე დახნული აქვთ, 10 ჰექტარი კი—დათესილი. ასე რომ, სულ 12 ჰექტარი

ტვიშში

დარჩათ დასახნავი და ახლა ტრაქტორებმა გონის მთის სასიმინდე ფართობში გადაინაცვლეს. თუ ამინდმა ხელი მოუშართათ, პირველი მაისისათვის ხვნა-თესვას უნდა მორჩნენ.

საგაზაფხულო სამუშაოები კარგად მიდის ტვიშელთა ზვრებში, ახლა გონიერი და ჭკუადამდგარი კაცი იმას კი არ დაუწყებს ლოდინს—ვინ იცის რა იქნება, დამრჩება თუ არა რამეო, არამედ იმას გაუმეცადინდება, რომ ვაზმა კვირტის გამოსვლა არ მოასწროს, ისე ჩაუტაროს ყველა სამუშაო და რაც შეიძლება ხნულშიც დროზე მოახვედროს სიმინდის ჯანსაღი მარცვალი.

სულ 20 ჰექტარია კოლმეურნეობის ზვარის ფართობი. ეს ისედაც შემცირებული მამაპაპისეული, სამარკო ღვინის ჯიშიანი და ძირძველი ვაზის ფართობი რომ კიდევ არ შემცირდეს, ვენახებს მზრუნველობა არ უნდა მოაკლდეს. აკი შეხსენებაც არავისი დასჭირვებიათ და დღეისათვის იჯარით აღებულ ზვრებში წამლობამდე გათვალისწინებული ყველა სამუშაო ჩატარებული აქვთ ალმარდი გაბიძაშვილს, ვალერი ასათიანს, ვალოდია ახვლედიანს, ლეო ჩაკვეტაძეს, ლია მუშკუდიანს, შუშანა სვანიძეს და სხვებს. ჯერჯერობით სულ 10 ჰექტარი ზვარი აქვთ ტვიშელ მევენახეებს დაბარულ-დამუშავებული.

ამ დღეებში მეიჯარეები ხელშეკრულებებს ჩაიბარებენ, სადაც ყველაფერი მეურნის, მშრომელი კაცის სასარგებლოდ იქნება გადაწყვეტილი. ასე რომ, მუშა კაცს ყოველგვარი საფუძველი აქვს გულდაჯერებით იშრომოს, მზრუნველობა არ მოაკლოს ვაზს და სასიმინდე მინდორს, საკუთარ კარ-მიდამოსაც და კოლმეურნეობისაგან იჯარით აღებულ მიწასაც ერთნაირი მონდომებით მიხედოს.

ბ. ბაქრაძე.

ალპანა

ამ რამდენიმე ხნის წინ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დასათვალიერებლად ალპანის კოლმეურნეობას ვეწვიეთ, საგაზაფხულო შრომისთვის ხელსაყრელი ჩვეულებრივი დღე იყო, მაგრამ შრომაში ვერავის შევასწარით თვალი, არც ტრაქტორები იყო წესრიგში. კოლმეურნეობის გამოცდილ ტრაქტორისტს გურგენ ცხვედიანს გარემონტებული ძრავის მოლოდინში კოლმეურნეობის კანტორის შენობაში შევხვდით, თავმჯდომარე ო. კვენეტაძე კი მთელ იმედებს ახალ ტრაქტორზე ამყარებდა, რომელსაც დღე-დღეზე ელოდნენ.

ასე, რომ გაზაფხულის იმ მშვენიერ დღეს ვერც გაკეთებული ვნახეთ და ვეღარც გასაკეთებლად კვალში ჩამდგარი ადამიანები ვიხილეთ. ამასობაში ამინდიც შეიცვალა, ჩვენც ყველაფერი ამინდს დავაბრალეთ და ხელჩაქნეული უკან გამოვბრუნდით.

ალპანა თავის მდებარეობითა და ნიადაგის შემადგენლობით სხვათაგან გამორჩეული ადგილია, შედარებით თბილ და მყუდრო ამ რეგიონში ადრე შემოდის გაზაფხული. კოლმეურნეობის სამ სოფელში—ალპანის, საირმის და ზოგიშ-ცაგერას ამ უბნებში იყო დრო, რომ 150 ჰექტარამდე მიწას ამუშავებდნენ სამარცვლე სიმინდისათვის, მაგრამ კოლმეურნეობის დამსხვილებამ, სამი კოლმეურნეობის ერთ კოლმეურნეობაში გაერთიანებამ ყველაფერი თავდაყირა დამხო, 55 ჰექტარამდე შეამცირა სამარცვლე სიმინდის ფართობი, თუმცა, მაშინდელივით ადამიანებიც აღარ არიან სოფელში, მიწის მუშამ ზურგი აქცია სოფელს და ქალაქისაკენ დაიძრა სოფლის მშრომელთა ტალღა.

ასე რომ, 55 ჰექტარი სახნავი შემორჩა დღეისათვის ალპანის კოლმეურნეობას, აქედან თვით ალპანაში იხვნება 9 ჰექტარი, ზოგიშში—24 და საირმეში კი 22 ჰექტარი. სასიამოვნოა, რომ ამჟამად ამ ფართობში დასახნავად შეუფერხებლად მუშაობს სამი ტრაქტორი, ახალი ტრაქტორიც დაპირებისამებრ მიიღეს და ზოგიშელ მშრომელთა სამდურავს, საკუთარი ტრაქტორის უქონლობაზე, ბოლო მოეღო. საირმელი გურგენ ცხვედიანის ტრაქტორს საიმედო ძალა მისცა ახლადგარემონტებულმა ძრავამ. ახალი ტრაქტორი სოფელ ზოგიშის სასიმინდე მინდვრებში ამუშავდა და საჭეს აქაური კაცი დავით ხვადაგიანი მიუჯდა. ალპანაში ტარიელ ჯანაძე ხნავს, სამივე გამოცდილი, საქმის ერთგული მექანიზატორია, რომელთა მონდომებაზეა ახლა დამოკიდებული წლევანდელი მარცვლეულის მოსავლისათვის საიმედო საფუძვლის მომზადება.

დღეისათვის სულ ალპანის კოლმეურნეობაში 30 ჰექტარი აქვთ დახნული. მექანიზატორები იმედს იძლევიან, რომ ამინდი იყოს და ხვნა-თესვის დროულ დამთავრებას წინ არაფერი დაუდგება.

ვითარება სამაჩაბლოში

სულ უფრო გამომწვევი და თავხედური ხდება სსრ კავშირის შინაგანი ჯარის აშკარა მხარდაჭერით გათამამებული ოხი სეპარატისტებისა და ექსტრემისტების მოქმედება სამაჩაბლოში, კერძოდ, ცხინვალში. ყოფილი საოლქო საბჭოს აღმასკომის შენობის თავზე მათ აღმართეს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა. ქალაქში ღამით თავისუფლად დათარეშობენ შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ძარცვავენ ქართველების ბინებს. 16 აპრილს ღამით მათ დაწვეს ლილი ცხვირავაშვილის სახლი. ბანდიტებს დღისით, მზისით ყველას თვალწინ ეზოებიდან გაჰყავთ ავტომანქანები ან იქვე ნაწილებად შლიან და მიაქვთ.

16 აპრილს ოსმა ბანდიტებმა ცხინვალის რაიონის სოფელ გუჯაბაურში მოკლეს სამი შვილის მამა კოლმეურნე ვალიკო ჭამბარიძე.

როგორც ვიუწყებოდით, 15 აპრილს ოსმა [illegible] მძევლად აიყვანეს [illegible] ენელი—სტყვენ [illegible] ინსტიტუტის დირექტორი ბიკენტი დათაშვილი და თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტი დათო ყაულაშვილი, რომელიც სასტიკად არის ნაცემი, დაზიანებული აქვს სახე და ფილტვები. იგი მოათავსეს გორის რაიონის საავადმყოფოში. მძევლად აყვანილი დათაშვილის ბედი ჯერჯერობით უცნობია.

შინაგანი ჯარის ნაწილებს კვლავ დაკავებული ჰყავთ ქართველი ეროვნების 21 მოქალაქე, მათ შორის მილიციის ორი თანამშრომელი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

საქინფორმი.

გლეხკაცი

◆

ხელები თუ არ დავიკაპიწეთ...

ლურჯი აპრილიც ჩანოდგა, ალუჩა-ტყემლისა და ვაზის სურნელება დატრიალდა. კარგი ამინდები დაიჭირა წლევანდელმა გაზაფხულმა. მშრომელ კაცს მეტი რა უნდა: როგორც კი რიჟრაჟი შემოვა, ფეხზეა, გული გარეთ მიუწევს, ბაღისკენ, ვენახისკენ, სადაც თითოეული ძირის ზნეც იცის და ჩვეულებაც. თავად წლები ემატება, ვაზიც თითქოს ბერდება, მაგრამ ყოველ წელს აახალგაზრდავებს გადაწვენით, შევსებით, მოფერებით.

შარშან ორბელში სხვებთან ერთად ვლადიმერ სანიკიძემაც ყურძნის კარგი მრსავალი მოიწია და საკუთარ ანგარიშზე ჩააბარა სახელმწიფო მარანს.

საკოლმეურნეო შრომის პირობებშიც არასდროს უღალატია საქმისთვის. ასეა, ლეჩხუმელი გლეხკაცი როგორც შვილს ვერ უღალატებს, ვერც ვაზსა და მიწას, სოფელს როგორ გაუსწორებს თვალს, რომ მის ნაშრომზე ვინმეს აუგი დაცდეს.

მიმდინარე წლის ზამთარი კარგი გამოდგა მეურნისათვის, ხელსაყრელი. ვლადიმერ სანიკიძემ მოიხმარა კარგი დღეები და ვენახს ადრიანად მიხედა. ახლა ვაზი გასხლულ-აშენებულია. ახვევაც დაასრულა. არც ერთ მშრომელ კაცს არ მოუბრუნდება ენა იჯარის საზიანოდ, თუკი კოლმეურნეობაც და მოიჯარეც შეასრულებს სახელშეკრულებო პირობას.

და შრომობს გულისა და სინდისის კარნახით, რა საქმე უნდა იყოს—თიბვა, ხილის დამზადება, მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვა, რომ მისი ოჯახი ჩამორჩებოდეს.

ახლა მთელს რესპუბლიკაში სიხარულია. ქართველმა ხალხმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი. ადგილობრივ საკრებულოებში აირჩია დეპუტატები, რომელთაც უნდა გაუძღვენ სოფელსა და რეგიონს, სრულიად საქართველოს. საქართველოს სასიკეთო საქმეები თუ ყველამ არ ვაკეთეთ, თუ სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა არ მოვიპოვეთ, რუსული იმპერია თანდათან გვიჭერს ყელში ყულფს.

და გამოსავალი ერთია ვუერთგულოთ მიწას, სოფელს, ხელები დავიკაპიწოთ, რომ ჩვენი სარჩო, პური და სიმინდი, რძე და ხორცი ჩვენვე შევქმნათ.

ასეთია მისი, ერთი ჩვეულებრივი რიგითი ქართველის აზრი და მოწოდება.

დეპეშა ნომერში:

ცაგერის რაიონის პრეფექტს

ბატონ ტარიელ ალავიძეს

ბატონო ტარიელ! რაიონში მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების პირველი რიგის ღონისძიებად მიმაჩნია, რომ თითოეული სოფელი ისტორიულ საზღვრებში გამოიყოს დამოუკიდებელ სამეურნეო და ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელსაც მართვის საკუთარი ორგანო ექნება.

პატივისცემით **ბორის ხუციძე.**
სოფელ ზედა საირმის მკვიდრი.
გორის ეკონომიკის ინსტიტუტის კათედრის გამგე.

თვალსაზრისი — გულისთქმა — პოზიცია

„მამულს გული უპირველეს ყოვლისა!"

რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში ცხოვრობს ჩვენი თაობა. ბევრი ისტორიული ქარტეხილის გადატანა მოუხდა ხალხს, მაგრამ რაც ახლა ხდება, თავისი მასშტაბურობითა და გაქანებით აღემატება ადამიანთა საზოგადოებისათვის მეტნაკლებად ცნობილ ყველა ფერისცვალებას.

უხეში ძალით დათრგუნულ ქართულ სულს ისე არასოდეს მოსწყურებია თავისუფლება, როგორ ახლა, როცა აგონიაში ჩავარდნილი უკანასკნელი იმპერია იშლება და შვებით ამოისუნთქავს უზომოდ შეჭირვებული ქართული მიწა. სანუკვარი ოცნება, საქართველოს თავისუფლება, შორს არ არის. მალე ივერია ფენიქსივით აღდგება მკვდრეთით.

ჩვენი საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში ისე სწრაფად განვითარდა მოვლენები, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შორს გასცდა ვიწრო კუთხურ ჩარჩოებს და მსოფლიო ხასიათი მიიღო. თავისუფლების მოლოდინში აზვირთებული ქართული სული ჩვეული სილაღითა და უშუალობით უტევს მონობის ბასტიონებს და წარმატებასაც აღწევს. ეს მოსვენებას უკარგავს იმპერიის ლაქიებს, რომლებსაც თავისუფალი საქართველოს აჩრდილიც აშინებთ. განსაკუთრებული მუხანათობით გამოირჩევიან ოსები, რომლებიც არც ადრე ყოფილან ჩვენი მეგობრები. ამ ჭეშმარიტებაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გადავხედოთ ალექსანდრე ყაზბეგისა და მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რამდენის მთქმელია მარტო დავით გურამიშვილის უკვდავი პოეტური სტრიქონები: „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტრები იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი". მართალი უთქვამს ქართველ კაცს: „კუდი ძაღლისა არ გასწორდების და არცა კირჩხიბი მართლად ვალხო".

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსი ექსტრემისტები მარტონი როდი არიან. რასაც მრავალრიცხოვანმა მტერმა ვერ მიაღწია და იძულებული გახდა დაეოკებინა მგლური მადა, იმას ჩვენი მოძმე, ქართული მიწის კალთის ქვეშ შეფარებული, უმადური ოსები ცდილობენ.

ამ დროს ჩვენ არ გვცალია შინაური კინკლაობისა და პარტიათა შორის ბრძოლისათვის. სამშობლოს ინტერესები ყველა პარტიულ ამბიციაზე მაღლა დგას. დროთა მსვლელობაში ერთ პარტიას მეორე ცვლიდა, მაგრამ მამულის გრძნობა უცვლელი რჩებოდა, რადგან ქართველმა კაცმა აკვნიდან იცოდა, რომ „სამშობლო, როგორც დაი, ერთია ქვეყანაზედა".

ყველანი კარგად ვხედავთ, რომ მამული განსაცდელშია. იღვრება თავის მიწაზე ხიზნად ქცეული უდანაშაულო ქართველი კაცის სისხლი. ყოველგვარ ზღვარს სცილდება მტრის სადიზმი და სისასტიკე. იმის მოწმენიც ვხდებით, რომ მგელი ცხვრის ქურქში ეხვევა და სხვებს თავს აცოდებს. მზაკვარი ოსი ჩვენი შინაური აშლილობითაც კარგად სარგებლობს. ამიტომ ერის ერთიანობა, მისი დაქუცმაცებული საზოგადოებრივი სხეულის გამთლიანება უნდა იყოს ყველა ქართველის [illegible] ლო ამოცანა.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველი, უპირველეს ყოვლისა ქართველია და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ჩამოყალიბდეს კომუნისტად, სოციალ-დემოკრატად, სოციალ-ფედერალისტად და სხვა. ამდენად, ცოდვები ყველას დიდსულოვნად უნდა შევუნდოთ, მეტადრე მათ, ვინც მართლა არ იცოდა, რას იქმოდა.

ჩვენი სალოცავი ხატი უნდა იყოს მრავალტანჯული მამული, რომელიც შვილთა მისთა თანადგომას ითხოვს თავისი ძნელბედობის ჟამს. დე, ერის ცხოვრების — მძიმე დღეებში ჩვენი სამოქმედო დევიზი იყოს — „მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!" ამით ღირსეულ წვლილს შევიტანთ ეროვნული მთლიანობის იდეის განხორციელებაში.

ო. ჟაბუკიანი.

ოჰ, ეს ფასები...

ვინ მგზავრობს... ტაქსით?

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა და ძალაში შევიდა 1991 წლის 1 ივლისიდან ქალაქ თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრობის ტარიფი 15 კაპიკის, ხოლო მგზავრობის ერთთვიური ბილეთები საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — 25 მანეთის ოდენობით.

დამტკიცდა და ძალაში შედის 1991 წლის 1 მაისიდან სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო მფლობელობის საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი), საგარეუბნო, საქალაქთაშორისო და სარესპუბლიკათაშორისო მიმოსვლის ავტობუსებით მგზავრობის ზღვრული ტარიფები შემდეგი ოდენობით:

ა) საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი) საგარეუბნო, საქალაქთაშორისო და სარესპუბლიკათაშორისო მიმოსვლის მაღალსავარძლიანი ავტობუსებით ერთი მგზავრკილომეტრის ღირებულება — 4 კაპიკი, ხოლო რბილსავარძლიანი ავტობუსებით — 5 კაპიკი;

ბ) საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი) ერთჯერადი მგზავრობის ერთიანი ზღვრული ტარიფი — 15 კაპიკი, ხოლო მგზავრობის ერთთვიური ბილეთის ღირებულება სხვადასხვა კატეგორიის მგზავრობისათვის — №1 დანართის თანახმად;

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს დავალებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წინადადება 1992 წლიდან მიწისზედა საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის გადახდის პროგრესული წესის შემოღების თაობაზე;

გ) სამარშრუტო ტაქსომოტორებით ქალაქის ფარგლებში მგზავრობის ტარიფი 8 კილომეტრამდე მარშრუტებისათვის — 40 კაპიკი, 8 კილომეტრზე მეტი მარშრუტისათვის — 50 კაპიკი, ხოლო საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მარშრუტებზე ერთი მგზავრკილომეტრის ღირებულება — 7 კაპიკი;

დ) ცალკეული შეკვეთებით ავტობუსებითა და მსუბუქი ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანის ტარიფები — № 2 დანართის თანახმად.

დამტკიცდა და ძალაში შევიდა 1991 წლის 2 აპრილიდან მსუბუქი ტაქსომოტორებით მგზავრობის ტარიფები:

— 1 კილომეტრ გარბენაზე — 40 კაპიკი, შემკვეთის განკარგულებაში 1 საათის განმავლობაში დგომისათვის — 4 მანეთი, ტაქსის ყოველი დაქირავებისათვის — 40 კაპიკი.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან ერთად მიმდინარე წლის 1 მაისამდე უნდა დააწესოს მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების ტარიფები.

საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მიმდინარე წლის 1 მაისამდე უნდა დააწესონ ურთიერთშეთანხმებით სამგზავრო და სამგზავრო-სატვირთო ბაგირგზებით მომსახურების ტარიფები.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის 19 მარტის № 105 დადგენილებით დამტკიცდა და 1991 წლის 2 აპრილიდან ძალაში შედის მგზავრთა გადაყვანის ტარიფების მომატების შემდეგი ზღვრული ოდენობანი: რკინიგზის ტრანსპორტით — 70 პროცენტი, საავიაციო ტრანსპორტით — 80 პროცენტი, საზღვაო ტრანსპორტით — 140 პროცენტი.

ახალი ტარიფები

საქალაქო მიწისზედა ტრანსპორტით (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი) მგზავრობის ერთთვიური ბილეთების ღირებულება

— მოქალაქეებისათვის	— 10 მანეთი
— ორგანიზაციებისათვის (გადარიცხვით)	— 25 მანეთი
— სტუდენტებისათვის (გადარიცხვით)	— 5 მანეთი
— მოსწავლეებისათვის (გადარიცხვით)	— 2 მანეთი

ცალკეული შეკვეთებით ავტობუსებითა და მსუბუქი ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანის ტარიფები

	ერთი საათით სარგებლობის ფასი (მან. და კაპ.)
მსუბუქი ავტომობილი	
მოსკვიჩი	8—00
ვაზ	8—00
უაზ—469	10—00
გაზ-24	10—00
გაზ-3102	12—00
გაზ-13, ზილ-11 ა, ზილ-114	14—00
ავტობუსი	
რაფ უაზ	8—00
კავზ პაზ	7—00
ლაზ-695	8—00
ლაზ-697, ლაზ-699	10—00
ლაზ-677	10—00
იკარუს-260	10—00
იკარუს-260 პ.	12—00
იკარუს-250, 255, 256	15—00

„საპრეზიდენტო" თუ გაყიდვიდან გადასახადი?

ალბათ, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა შეამჩნევდა, რომ სავაჭრო ორგანიზაციებში საქონლის შეძენისას საპრეისკურანტო ფასებს ზევით დამატებით ახდევინებენ ამ საქონლის ღირებულების 5 პროცენტს. ზოგმა მას „საპრეზიდენტო გადასახადი" შეარქვა. ამ გადასახადის შესახებ რამდენიმე კითხვით მივმართეთ რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს ბატონ **გურამ აბსანძეს.**

— ბატონო გურამ, რას წარმოადგენს ეს გადასახადი და ვინ შემოიღო იგი?

— უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ ეს არის გაყიდვიდან გადასახადი. მოსახლეობის ცალკეულ ნაწილში გავრცელებული აზრი იმის შესახებ, თითქოს ეს გადასახადი სსრ კავშირის პრეზიდენტის განკარგულებაში მიდიოდეს, არასწორია. ალბათ, ეს აზრი გავრცელდა იმის გამო, რომ გადასახადი დაწესდა პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედებს ამ გადასახადის შესახებ დებულება, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ არის დამტკიცებული და იგი განსხვავდება საკავშირო დებულებისაგან.

რაც შეეხება თვით გადასახადის არსს, მას გადაიხდიან საწარმოები და ორგანიზაციები მათ მიერ რეალიზებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების მოცულობიდან 5 პროცენტის ოდენობით. რა თქმა უნდა, ის პროდუქცია ან მომსახურება, რომლის რეალიზაცია მოსახლეობაზე მოხდება, ამ ხუთპროცენტიანი დანარიცხით წარმოებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფასები გაიზარდა 5 პროცენტით.

— შეეძლო თუ არა ჩვენს რესპუბლიკას არ გაევრცელებინა ეს გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე?

— სამწუხაროდ, არ შეეძლო. საქმე ისაა, რომ პროდუქცია, აგრეთვე ნედლეული და მასალა, რომელსაც რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ვღებულობთ, ამ ხუთპროცენტიანი გადასახადით არის გაძვირებული. თუ ამ გადასახადს არ დავაწესებდით, მაშინ ამ პროდუქციისა და ნედლეულის მიმღები ჩვენი საწარმოები იზარალებდნენ. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტიც. ეს გადასახადი კი ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში იქნება ჩარიცხული და ისევ ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობას მოხმარდება.

გადასახადით არ დაიბეგრება სამკურნალწამლო საშუალებების და სამედიცინო დანიშნულების ნაწარმის რეალიზაცია მოსახლეობაზე, ინვალიდთა და მოხუცებულთათვის სპეციალური დანიშნულების საქონლის რეალიზაცია. გაყიდვიდან გადასახადი არ გადახდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მომსახურების გაწევაზე. ასევე არ იბეგრება ბავშვების, ავადმყოფებისა და ღრმად მოხუცებულთა მოვლასთან დაკავშირებული მომსახურება. ამ გადასახადით არ გაიზრდება თეატრალურ-სანახაობითი, სპორტული, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კინოთეატრების მიერ რეალიზებული ბილეთების ფასები. გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში გაყიდვიდან გადასახადი არ გადახდება მოსახლეობას პურ-ფუნთუშეულის ნაწარმზე, ბავშვთა სპეციალური კვების პროდუქტებზე.

საქინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი სარწყული

ლიტერატურული გვერდი (მ)

თავისუფლების გაზაფხულის სიმღერა — ისმის

ეს 9 აპრილი რა უცნაურ ხალიჩას ართავს,
იავს იწონებენ სანთლები და ტიტები ვარდთან...
იეთრ ტაძრისაკენ ამომავალს ზედ აქსოვს ბილიკს,
„დაუკარით“-ო ხმები არღვევს სიმშვიდეს დილის.

თავისუფლების გაზაფხულის მაყრული ისმის,
მზესთან სულ ახლოს გაჭიმულა ნახტომი ირმის,
ისმის ობოლი ვარსკვლავების გულების ფეთქვა,
დაწყებულია ქართველური ზეიმი ფერთა.

თავისუფლება! ამაყად ჟღერს ქართველის ხმაში
და მოაბიჯებს საქართველო, ვით თოთო ბავშვი,

თავისუფლება გიშრის თმებში გედის ხმას იწნავს,
მზისკენ მიიწევს დაღუპულთა საფლავის მიწა!
ძირს ჩამოსული მოსალოცად ლაჟვარდი ზეცა,
ჩამოიხია შავი ჩადრი, მამულს რომ ეცვა,

ხავსიან კოშკზე კოცონივით ბრიალებს მთვარე,
თავისუფლების მზის სხივებმა გაჰკვეთა არე,
გმადლობთ, უფალო, იმპერიას აღარ აქვს ძალა!
თუმც გადაგვიწვა სამაჩაბლო და შხამავს ჰალას.

თუმც წაგვბილწეს სალოცავნი, წმინდა ლიახვი,
დრო, ისტორია მკაცრ სიმართლეს შუბლში მიახლის.
თავისუფლების გაზაფხულის სიმღერა ისმის,
შავ უფსკრულიდან ვეღარ გვავნებს ურჩხულის გესლი,

ისმის ზვარაკთა, შეწირულთა გულების ფეთქვა,
დაწყებულია ქართველური ზეიმი ფერთა...

დ. ჩორგოლიანი.

(ქ-ს)

ამ ოცნებებსაც გაიტყუებს ბებერი ქარი,
ისე, როგორც ალბათ ყოველთვის,
თუმცა ამაშიც არა ვარ ბრალი,
მაგრამ მაინც მარტო მტოვებენ
ცისფერ ოთახში, ცისფერ სიზმრებთან
და არაფერი არ არის ნაღდი,
არც სიყვარული, არც დაბრუნება
— ისე გელოდი...

* * *

ჰქრიან ქარები,

ბებერ ჭადარზე ისმის კვნესა

ხმელი ტოტების,

და მერე ჩუმი, - უსაშველო ჩუმი ჭახანი...

● ● ●

გადაირბინეს უკანასკნელმა ქარებმა ისე,
როგორც ქუჩის მაწანწალა ძაღლებს სჩვევიათ,
წვიმა ნაღვლიან სიზმარს მთავაზობს,
გულს მიღრღნის ცრემლი,

რომლებიც ცდილობდნენ მოესწრო ჩვენთვის
წვიმის წვეთები,—
ჩვენ და ქარები
გაშიშვლებულ მზეებს მივდევდით
რომლებიც ცდილობდნენ მოესწრო ჩვენთვის
გადარბენა,
და როგორც ქერქი მზით გამხმარი და გამომშრალი,
ფოთლებგაცვენილ ტოტებს უკოცნის ახლა
სიზმარი...

მთვარისა ბენდელიანი

განთიადი

(ჩანახატი)

შავჩოხიანი ჭაბუკი ამხედრდა თავის ბედაურზე და მიიმალა წყვდიადში, ამასობაში თეთრჩოხიანი ჭაბუკი მოიჭრა თეთრ ბედაურზე ამხედრებული. და ღამე თანდათან გაიცრიცა, ფერდაკარგული ვარსკვლავები ღრუბლებში მიიმალნენ. თალხი მოიხადა ათასგზის ნაბოროტევმა ღამემ, მერე მკლავები ზეაწია და ცას წინადღით მიბარებული გვირგვინი სთხოვა.

განთიადის მოახლოებას ნაზი ციმციმით ამცნობს ცისკარი ცას... ცა ნელ-ნელა შლის ცისფერ ფრთებს და დედამიწას აფარებს თავზე. ამომავალმა მზემ ცეცხლისფრად შეაფერადა ცის ტატნობი. მზე საოცრად ლამაზ ოქროსთმიან დედოფალს წააგავს, რომელიც ღიმილით ესალმება თავის ქვეშევრდომთ, ნაზად. ლამაზად მიცურავს ცაზე, რათა მეწამული სხივებით გაათბოს დედამიწა.

მზის სხივებზე აფერადებული ნამი მხიარული კისკისით დაეშვა ბალახებში.

თვალხატულა ყვავილებმა თვალები გაახილეს, ღიმილით შეეგებნენ მზის ალმობრწყინებას. გვირილას ყვითელ გულზე მიძინებულმა ჭიამაიამ ფრთები გაშალა და გაუჩინარდა. ბულბულმა ვარდზე მოიკალათა და საამური გალობა დაიწყო. გალობდა ისე, როგორც ჯერ არავის უმღერია. უმღეროდა ცას, მიწას, ყვავილებს, სამშობლოს, სადაც პირველად იგალობა და თავისუფლად გაინავარდა სიყვარულით ნაშენებ მხარეში, იმ მხარეში, სადაც თავისუფლების მოყვარული ხალხი ცხოვრობს.

ასეთი ლამაზი და მიმზიდველია ყოველი დილის განთიადი ჩემს სამშობლოში, მალე სხვანაირი, სულ სხვანაირი განთიადი ეწვევა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, უფრო ლამაზი და უფრო დიადი.

ნინო ომანაძე.

ზუბის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

ცისფერი ჩანაწერები

მივიწყებული სიზმრების განცდა სევდიანმა მოგონებამ გამოიტანა დღის სინათლეზე. ახლა დაფარული არაფერია, ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მახსოვს.

* * *

მე შენი არ მეშინია. თბილი ხარ ძალიან, თბილი და სევდიანი, იმედიანი ამავ დროს. არ მეშინია შენი, მოლოდინო, ოდნავადაც არ მეშინია...

* * *

რამდენი სიცოცხლის ცოდო ადევს კისერზე სიკვდილს. მებრალება, ნამდვილად მებრალება ცოდვილი სიკვდილი. ვინ უნდა მოუტევოს ამდენი ცოდვა...

* * *

ჩვენ მივდიოდით მაშინ ხეივანში. ხმელი ტოტები ხმაურობდნენ ფეხის დადგმისას, ციოდა მაშინ, ძალიან ციოდა. ხეივნიდან უსიამოდ გამოჩრილიყო სიმარტოვის ვეება კუზი. ჩვენ მივდიოდით ისევ და ისევ და უჩინარი მიოველი გვაახლოვებდა სიმარტოვესთან.

* * *

უჩინარი ხმა არ მასვენებს. მემუქრება და სალმოდ სიტყვებს უშურველად იმეტებს ჩემთვის. მსაყვედურობს უჩინარი ხმა. მაინტერესებს, ვისი ხმაა, ანდა რაღას მოითხოვს ჩემგან.

მისმინე, ხმაო: უსასოო ჩემმა არსებამ დიდი ხანია გადაიტანა მოსალოდნელი დღეების შიში, და, რა თქმა უნდა, შენი მუქარა წყლის ნაყვაა, სხვა არაფერი. დიდი ხანია მოვისმინე შიშის კივილი, ვიგრძენი კიდეც მძაფრი სუნი მარტოსულობის და ელდა უკვე გადავიტანე.

მისმინე, ხმაო, ტყუილუბრალოდ ნუ გაირჯები, შენი უკვე არ მეშინია.

* * *

ჩემი ნერვების ყვითელი კონა სიმარტოვის ტალღას შეასკდა. კოსმოსური შიში ნელა შემოიჭრა ჩემში და გაიტოტა ცისფერ ძარღვებში, გალმა კი დარჩა სიცარიელე.

ჩემი ბავშვობის მზისფერ მინდორზე
კუბო ესვენა ლურჯი აპრილის.
უცნობი ხმები თავქვე მიქროდნენ
და ქანაობენ ზღვაში ნაპირნი

* * *

არა, ნამდვილად არის რაღაც აზრი სიცოცხლეში. ერთ მშვენიერ დღეს რომ სიცოცხლის უაზრობა ვირწმუნო, ალბათ გავგიჟდები, ან თავს მოვიკლავ.

* * *

უნდა იწამო,
უნდა ეწამო,
ინდა იცინო,
უნდა იტირო,
რამეთუ შენ ხარ ადამიანი!

* * *

სიცოცხლე სიზმარია დაბადებამდე არყოფნისა და სიკვდილის შემდეგ არყოფნას შორის, ე. ი. სიცოცხლის საზღვრებია არყოფნის ორი მდგომარეობა.

* * *

მე 19 აპრილს დავიბადე, 75 წელს. ბაღში კვირტები სკდებოდა თურმე. ეზოებში კი ისევ იდო თოვლი ალაგ-ალაგ. ზოგან გაზაფხული, ზოგან ზამთარი. ალბათ ჩემი ხასიათიც აქედან იღებს სათავეს.

ადამიანი ფრესკა არ არისო!..
ფრესკები ვართ, აბა რანი ვართ.
დრო და ჟამი გამოგვახუნებს და ქარიშხალი გაგვაცამტვერებს.

* * *

ბნელო ღამეო, გაზაფხულის დღესასწაულს კარი გაუღე.
წამოკრიფე ქარში გაბნეული უხმო სიცილი, გადააფარე სიმშვიდის კალთა მარტოსულობას.
ბნელო ღამეო, მე და შენ ერთად უნდა ვიხილოთ აყვავებული ატმის ტოტები, ერთადვე უნდა გავუყვეთ ბილიკს მოცისფროსა და სევდით გადაღლილს.
მერე ავტირდეთ, ვით მეფე ლირი...

ნანა აკობიძე.

„ცისფერი სარწყულისაგან:“ ვულოცავთ ნანას თავის მეთექვსმეტე გაზაფხულს და გაზაფხულისებრ სინორჩეს და მარადიულ შთაგონებას ვუსურვებთ.

მონატრება

მენატრება, საქართველოს უძლეველი გაზაფხული,
მენატრება ქართლის მიწა ბაღნარებით დაფარული.
მენატრება არაგველთა ვაჟკაცური შეძახილი
და მამულის დიდებისთვის ქუდზე კაცი გამოსული.
მენატრება, მენატრება, ცხრა ძმა ხერხეულიძენი.
ხმლის მოქნევა, შემართება სააკაძე გიორგისი.
მენატრება დროშის გაშლა დავითის და თამარისი.
მენატრება, მენატრება, გმირთა ხმა და ღაღადისი.
მენატრება, მენატრება, საქართველო თამარისი.

თამარ ნემსწვერიძე,

ცაგერის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

ერთი ხის ნაამბობი

მე ვარ ღმერთი და მე ვარ სიცოცხლე ამ ქვეყანაზე. ჩემით იწყება და თავდება ეს ქვეყნიერება. მე რომ არ ვიყო, არაფერი არ იქნებოდა. მე ვარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული.

მე არასოდეს არ გარდავიცვლები, რადგან ვარსებობ სიყვარულით.

ყოველ გაზაფხულზე ყვავილებით ვიმოსები, მწვანე ყლორტებსაც საუცხოოდ ვიყრი. ერთი შეხედვით, ხელს არავინ არ მიშლის, რადგან საკუთარ თავზე განვიცდი ყველას თავზე გარდამხდარს. და ვარ ასე, დასალონებელი რა მიჭირს, ვეფერები ბუნებას და ადამიანებს, ლამაზს და ულამაზოს, მართალს და მრუდს, მუდამ სიკეთეს ვთესავ, ასეთია ჩემი ჯიში, ჩემი მოდგმა.

წელსაც ახალ გაზაფხულს უფრო დიდი სიყვარულით მინდა დავაფრქვიო არემარეს სურნელება და სითბო. იქნებ ხალხთა გამკაცრება ჩემმა მოფერებამ ცოტათი დაამშვიდოს და სიკეთისაკენ მოაბრუნოს.

სხვა საქმე არასოდეს არ მქონია. ცუდი დროება დაგვიდგ და ალბათ სიყვარულს აღარ აფრქვევო, რომ დამაბრალოთ, ისევ თქვენი ბრალია: შევმცირდით, გავნადგურდით. ყოველი გულმოსული კაცი ნაჯახით გვემუქრება, სახელმწიფოთა უკმაყოფილებაც ჩვენს თავზე გადადის. უფრო კარგად მოგვხედეთ, მოგვიარეთ და ბედნიერებაც თქვენს ხელთ იქნება.

ჩემი გზა მრუდე არასოდეს არ ყოფილა და არ იქნება. მე თქვენზე შეყვარებული ვარ. თქვენი კარგად ყოფნა ჩემთვის, ჩემი ჯიშისთვის და ჩემი მოდგმისთვის მინდა. ეს არის ჩემი სიყვარული, ამიტომ მიყვარხართ, ნუ დამსჯით სიყვარულისთვის!

ნატო ბურჯალიანი-გიორგელიძე.

განცხადება

განათლების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცაგერის რაიონულ საბჭოს მიღებული აქვს საგზურები:

სანატორიუმის—

მენჯი—16 V—8 VI

უწერა—7V—30V

წყალტუბო, სანატორიუმი „გეოლოგის“—24 V—12 VI

ომის ინვალიდებისათვის

პორჯომი, „საქართველო“—17 VI—10 VII

თბილისი, „ქართული“—8 V—31 V

პანსიონატის—

ციხისძირი, „რადუგა“—31 V—11 VI

ციხისძირი „რადუგა“—12 VI—23 VI

პანსიონატი საოჯახო

შოვი—1 VI—21 VI

პროფკავშირის რაიონული საბჭო.

ბილოცავთ

ბედნიერ ქორწინებას უსურვებენ

მაღვინა გიორგის ასულ კვირკაშვილს
ჰამლეტ ჯუმბერის ძე გიორგელიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი ოჯახი, სიხარული და სიყვარული არ მოგკლებოდეთ.

ლალი, თამუნა, თამაზ, ემზარ, სოზარ, ლაშა ლიპარტელიანები.

მზია გივის ასულ სვინტრაძეს
შამილ რადიონის ძე კოკაინიანს

გილოცავთ ბედნიერებას. იმრავლეთ და იხარეთ, ბედნიერ ცხოვრებას გისურვებთ.

გივი, გიზო, გურამ საღინაძეები ოჯახებით.

ნონა მიტუშას ასულ მემანიშვილს
ემზარ ვაჟას ძე გუგავას

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი. დაგბედებოდეთ მარადიული სიყვარული, გამრავლებინოთ ქართველი ერი.

ლია მუშკუდიანი.

მზია გივის ასულ სვინტრაძეს
შამილ რადიონის ძე კოკაინიანს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი და შვილმრავალი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. იხარეთ და იბედნიერეთ.

მზია და გიზო ხეცურიანები.

მზია შაროს ასულ მანაგაძეს
მამუკა ოთარის ძე მამარდაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს და სიყვარულს, შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ოჯახი.

ნატო ჩაკვეტაძე, ლონდა ლეთოდიანი.

ნინო გუდვერის ასულ გვიშიანს
ალეკო გიზოს ძე დვალს

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძეძლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი. სიხარული, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

მადონა გვიშიანი, იამზე მეგრელი, მადონა ბურჯალიანი.

მანანა ვალოდიას ასულ მუშკუდიანს
მერაბ სპირიდონის ძე გორდულაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული, სიყვარული და შვილთა სიმრავლე დაბედებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

ცაგერის № 23 საგზაო სამმართველოს თანამშრომლები.

მეგი ტუხას ასულ სვანიძეს
გოგიტა რომანის ძე ახვლედიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გაზაფხულივით მშვენიერი, აღი და ლამაზი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება, გფარავდეთ ღმერთი.

მაკა, მერაბ ახვლედიანები.

ბილოცავთ

მერი მამარდაშვილს
ბესიკ კვენეტაძეს

გილოცავთ პირველ სიხარულს—ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.

თალიკო, რომან, ზაზა, ვალერი ყურაშვილები.

ნათელა ჟორას ასულ სალინაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას. იხარე და იბედნიერე თავისუფალ საქართველოში.

ოყურეშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი.

ზეინაბ ემზარის ასულ დავითუღიანს
ბადრი ვალოდიას ძე ლეშკაშელს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო მამულიშვილი.

ლაჯანის საშუალო სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი.

ნინო იორამის ასულ ჩარკვიანს
ზაურ ნიკოს ძე ტვილდიანს
გოგუცა, იორამ ჩარკვიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ელიკო, მალვინა, ჟორა, მირზა კუხალაშვილები.

გულიკო შამშეს ასულ გვიშიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს. სულ ბედნიერი გზით გევლოს შენს ქმარშვილთან ერთად. გფარავდეთ ღმერთი აწ და მარადის.

დუდუშა, ინგული ახვლედიანები, ლეილა ჩიქოვანი, თინა ირემაძე, ამალია სილაგაძე, ლია ფრუიძე, ბელა გოლეთიანი.

გუდო, ზაურ, დაღი ცვარიანებს

გილოცავთ შვილისა და ძმისშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი. დაე, მრავალი აკვანი დარწეულიყოს თქვენს ჭერქვეშ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ნაზიკო კობერიძე, მარინე ჩიხლაძე, დოდო კაჭკაჭაშვილი, შურა ლიპარტელიანი.

გულო, ზაურ, ბიქტორ, გოგუცა ცვარიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

გაგა, გოგიტა, გიზო, დალი, ლუბა, აფთიონ კოპალიანები.

ლალი ჯემალის ასულ კოპაღიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, დასწრებოდე მრავალს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

ლია, შოთა ლიპარტელიანები.

მარინე (ოდელია) ჭიჭიკოს ასულ კვენეტაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს და ძმისშვილის—ზვიადის შეძენას.

ალპანის სამკერვალო ფაბრიკის ადმინისტრაცია.

მადონა შარდენის ასულ გოღეთიან-შკუბულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ სიცოცხლეს თქვენი საყვარელი ქმარ-შვილით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

უუუნა შკუბულიანი, ნაილი, გულო ცვარიანები, ავთო კოპალიანი.

მეუღლე აბესალომ ახვლედიანი, შვილები ბერდია, აზა, ნარგიზა, რძლები ... ლიმაღლები. ალეკო, თამრიკო, მაზლ... ... ...